



საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№07-3/443, 11.03.2020) „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 125-ე მუხლის პირველი-მე-3 პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 9 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

- | | |
|---------------------|--|
| ა) არჩილ თალაკვაძე | – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე); |
| ბ) მამუკა მდინარაძე | – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი; |
| გ) ირმა ინაშვილი | – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე; |
| დ) სერგი კაპანაძე | – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე; |

- ე) მარიამ ჯაში – საპარლამენტო ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ თავმჯდომარე;
- ვ) ირაკლი კობახიძე – საქართველოს პარლამენტის წევრი;
- ზ) თინათინ ბოკუჩავა – საქართველოს პარლამენტის წევრი;
- თ) თენგიზ შარმანაშვილი – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველი;
- ი) თორნიკე ჭეიშვილი – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველი (კომისიის მდივანი).

3. საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია კომისიის სხდომებზე დასასწრებად მოიწვიოს სხვა პირები.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე



არჩილ თალაკვაძე

თბილისი,
2020 წლის 17 მარტი.
№5742 – II ს